



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #51 მარტი, 2016

გამოშვებაში
წაიკითხავთ

ელექტრონული მმართველობის ხელშემწყობი
სამართლებრივი ჩარჩოს შემდგომი განვითარების
საკითხებზე სემინარი გაიმართა

- 1 სემინარი ელექტრონული მმართველობის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების საკითხებზე
- 2 ერთიანი სავაჭრო ქსელის საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა
- 3 კიბეროლიმპიადა 2016
- 3 ინფორმაციული უსაფრთხოების სემინარი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში
- 4 საჯარო რეესტრში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ელექტრონული გახდა



საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის ინიციატივით და მონაწილეობით სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა ორდღიანი სემინარი, რომელიც საქართველოში ელექტრონული მმართველობის ხელშემწყობი სამართლებრივი ჩარჩოს შემდგომი განვითარებისა და ელექტრონული სერვისების მიწოდების გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა. სემინარი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ და ამავე სამინისტროს სსიპ. „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ორგანიზებითა და ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის - „ელ.მმართველობის გაძლიერების ხელშემწყობა საქართველოში“ მხარდაჭერით გაიმართა.

სემინარის მონაწილეებმა განიხილეს ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სტიმულირების შესაძლებლობები და ინიციატივები, რომელთა განხორციელების შედეგად საქართველო გადავა ელექტრონული მმართველობის განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე, რაც რიგით მოქალაქეებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს ისარგებლონ დახვეწილი და მათ მოთხოვნებზე მორგებული ელექტრონული სერვისებით, შედეგად კი მიიღონ უფრო მეტი კომფორტი, დაზოგონ დრო და ფინანსური რესურსები (გაგრძელება გვ. 2).

 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.justice.gov.ge

 იუსტიციის სახლი
www.house.gov.ge

 my.gov.ge
www.my.gov.ge

 www.sda.gov.ge

 www.napr.gov.ge

 www.archives.gov.ge

 www.nbe.gov.ge

 www.notary.ge

 www.matsne.gov.ge

 [www.eAuction.ge](http://www.eauction.ge)

 www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) „დეპუტატებთან, ბიზნესის წარმომადგენლებსა და ევროკავშირიდან ჩვენს პარტნიორებთან ერთად განვიხილეთ, თუ როგორ უნდა გადავიდეთ ეტაპობრივად და, სასურველია, საკმაოდ სწრაფად ისეთ სისტემაზე, რომელიც გულისხმობს ყველა საჯარო დაწესებულების ვალდებულებას, რომ ის სერვისები, რომელთაც ისინი გასცემენ მოქალაქეებსა და ბიზნესზე, ხელმისაწვდომი სავალდებულოდ იყოს ელექტრონულადაც“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.



როგორც **თეა წულუკიანი** აღნიშნა, „ასევე მნიშვნელოვანია ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის თემაც, რომელიც გააადვილებს საჯარო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის ურთიერთობას. იუსტიციის მინისტრის თქმით, „ძალიან ბევრი ბიზნესმენი ამას მიესალმება და ელოდება“.

„ამ სიახლეების დანერგვას საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდება და ცვლილებათა პაკეტების გარშემო დღეს დაიწყება საჯარო დისკუსია“, – განაცხადა **თეა წულუკიანი**.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

ერთიანი სავაჭრო ქსელის საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა



საქართველოს იუსტიციის მინისტრის, **თეა წულუკიანი** ხელმძღვანელობით ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტთან დაკავშირებით შექმნილი საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვებისა და ჩატარებული სამუშაოების შესახებ იმსჯელეს.

ერთიანი სავაჭრო ქსელი (TFS) არის ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროში ჩართულ რგოლებს შორის ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში ელექტრონულად გაცვლის სისტემა, რომელიც სავაჭრო ოპერაციების მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, საერთო ვებპორტალის მეშვეობით ონლაინ რეჟიმში აწარმოონ ყველა ის ოპერაცია, რაც დაკავშირებულია საქართველოში და/ან საქართველოს გავლით ტვირთების გადაზიდვასთან. სისტემის მომხმარებლები დაზოგავენ როგორც ფინანსურ რესურსებს, ისე დროს, ხოლო ერთიანი სავაჭრო ქსელის ამოქმედება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოდინებას და კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს, როგორც ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის რეპუტაციას.

15 თებერვლიდან ერთიანი სავაჭრო ქსელი საპილოტე რეჟიმში მოქმედებს, რაც სისტემის მუშაობაზე დაკვირვებისა და ხარვეზების დროულად გამოსწორების საშუალებას იძლევა. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი ფოთისა და ბათუმის პორტები, რამდენიმე საზღვაო ხაზი, საბაჟო ტერმინალი და სატრანსპორტო კომპანია. საპილოტე რეჟიმში გაშვებიდან დღემდე დაიხვეწა არსებული ფუნქციონალი, უკვე გამოსწორდა ამ დროისთვის აღმოჩენილი ხარვეზები და მიმდინარეობს სისტემის შემდგომი რეალიზება.

პარალელურად ჩატარდა ფუნქციონალის გამოყენების ტრენინგები საზღვაო ხაზების, საბაჟო ტერმინალებისა და სატრანსპორტო კომპანიებისთვის, ხოლო რამდენიმე ახალმა კომპანიამ გამოთქვა სურვილი მიუერთდეს საპილოტე რეჟიმში მოქმედ სისტემას და გაეცნოს მის მუშაობას.

ერთიანი სავაჭრო ქსელი ყოველწლიურად ჩაანაცვლებს 1 მილიონ ქაღალდის დოკუმენტს, ვაჭრობისა და ლოგისტიკის სფეროში მოქმედი ბიზნესებისთვის კი მოსალოდნელი წლიური დანახოვი 4.5 მილიონი დოლარი იქნება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად, ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტზე აქტიურად მუშაობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტები, გადაზიდვა კომპანიები, საბაჟო ტერმინალები, რკინიგზა, ექსპედიტორები და სხვა სუბიექტები.

ერთიანი სავაჭრო ქსელი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის კიდევ ერთ წარმატებულ მაგალითს. პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

კიბეროლიმპიადა 2016



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად აწყობს პირველ ეროვნულ კიბეროლიმპიადას. კიბეროლიმპიადის მიზანია კიბერუსაფრთხოების სფეროს განავითარების ხელშეწყობა და პუპულარიზაცია, ასევე იმ პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება, რომლებიც ფლობენ შესაბამის ტექნიკურ ცოდნასა და კომპეტენციას.

კიბეროლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია კიბერსაკითხებით დაინტერესებულ ყველა ახალგაზრდას, რომელსაც არ შესრულებია 25 წელი.

ეროვნულ კიბეროლიმპიადაზე დაისმება კიბერუსაფრთხოების გავრცელებული შეტევების ვექტორების ამოცანები, რომელთა გადაჭრაშიც ერთმანეთს გუნდებად დაყოფილი სტუდენტები შეეჯიბრებიან. ეროვნული კიბეროლიმპიადა გაიმართება 2016 წლის 26 აპრილს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“.

ოლიმპიადის მონაწილეები სხვადასხვა კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოს შედეგად გააანალიზებენ და გამოიკვლევენ 5 განსხვავებულ შემთხვევას და უპასუხებენ 50 შეკითხვას (თითოეული შემთხვევის ირგვლივ სხვადასხვა სირთულისა და წონის 10 შეკითხვა), მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით კი დაითვლება საბოლოო სტატისტიკა. ეროვნული კიბეროლიმპიადის ხანგრძლივობაა 1 დღე.

„ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. კიბეროლიმპიადის მეშვეობით სტუდენტებს მიეცემა შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორცაა კიბერუსაფრთხოება. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის სპეციალისტები ესაჭიროება. ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, ურთიერთშეჯიბრის პირობებში წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გაიღრმავონ გამოცდილება“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

ღონისძიების პარტნიორები არიან: „ინტელი“ (Intel), „იუ ჯი თი“ (UGT), „ორიენტ ლოჯიკი“, აი ეს ეს პი“ (ISSP), „მაგთი“, „კავკასუს ონლაინი“, „მაკაფი“ (McAfee)

ინფორმაციული უსაფრთხოების სემინარი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში



11 მარტს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სემინარი ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ თემაზე შეხვედრა შედგა იუსტიციის სამინისტროს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობას შორის შეთანხმების შესაბამისად. შეხვედრას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან უძღვებოდა თავმჯდომარის მოადგილე **კახა დემეტრაშვილი**.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა **ირაკლი ლომიძემ** და ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის მენეჯერმა **დავით ბულაგრიშვილმა** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამის თანამშრომლებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს. შეხვედრის ბოლოს გაიმართა კითხვა-პასუხის სესია.

საჯარო რეესტრში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ელექტრონული გახდა



ამიერიდან იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჩივრის წარდგენა მოქალაქეებს ელექტრონულად შეეძლებათ. საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.napr.gov.ge განთავსებულ ადმინისტრაციული საჩივრის ელექტრონული პროგრამის დახმარებით, დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, საჩივარი სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად, ინტერნეტით გაგზავნონ და პასუხიც ინტერნეტითვე მიიღონ.

რეესტრაციის გავლის შემდეგ მოქალაქისთვის პროგრამაში პერსონალური გვერდი იქმნება, რომელზე წვდომაც მას ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან აქვს. აქვე შესაძლებელია ელექტრონული ადმინისტრაციული საჩივრის მზა ფორმის მოძიებაც. საჩივარზე მიღებული პასუხი მოქალაქის პერსონალურ გვერდზე აისახება. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში რეესტრირებული ყველა დაინტერესებული პირის ისტორია მის პერსონალურ გვერდზე ინახება და ნებისმიერ დროს შესაძლებელია კონკრეტული საჩივრის მომზადების, ელექტრონულად გაგზავნის და მათზე საჯარო რეესტრისგან მიღებული პასუხების მოძიება.

„საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და ამ გზით მოქალაქეებისთვის საჯარო რეესტრთან კომუნიკაციისა თუ მისგან სერვისების მიღების გამარტივება ჩვენთვის ყოველთვის იყო პრიორიტეტი. ადმინისტრაციული საჩივრის ელექტრონული პროგრამა მოქალაქეებისთვის ამცირებს ბარიერებს, გაცილებით ამარტივებს, აჩქარებს საჩივრის წარდგენის პროცესს და მას კიდევ უფრო კომფორტულსა და გამჭვირვალეს ხდის“, - აცხადებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **პაპუნა უგრეხელიძე**.

ადმინისტრაციული საჩივრების ელექტრონული პროგრამა თავად საჯარო რეესტრისთვისაც გააუჯობებს ადმინისტრაციული საჩივრების მონიტორინგის პროცესს და მისი საქმიანობის ეფექტურობასაც გაზრდის. პროგრამა საჯარო რეესტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ არის შექმნილი.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ